საიდ. N 86529/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N51-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი, თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „პროგუმ გიდა სან. ვე თიჯ. ლტდ.სტი.“ (PROGUM GIDA SAN. Ve TİC. LTD.STİ) N51-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 12 აპრილის N792/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის

(საიდ. N86529/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 12 აპრილის N792/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებულ სიტყვათა კომბინაციას - „TURBO NO STICKING SOFT BUBBLE GUM“, სადაც დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება მხოლოდ სიტყვიერი ელემენტი - „TURBO“. ნიშნის დანარჩენი შემადგენელი სიტყვიერი ელემენტები - „NO STICKING SOFT BUBBLE GUM“, რომელიც ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „არაწებოვანი რბილი საღეჭი რეზინი“ არაგანმასხვავებელუნარიანია საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და შესაბამისად, წარმოადგენს ნიშნის დაუცველ ნაწილს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „n-ginE FUEL 4 ACTION! TURBO“ მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ნაწილს „TURBO“, რომელიც დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში წარმოადგენს დომინანტ ელემენტს. ნიშნების სიტყვიერი ელემენტი „TURBO“ მსგავსია ვიზუალურად, კერძოდ, ორივე ნიშანი წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებული ხუთი ასოს კომბინაციას „T U R B O“. ნიშნები ასევე მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან ორივე ნიშანი ჟღერს, როგორც „ტურბო“. შესაბამისად, არსებობს ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში არსებული სიტყვიერი აღნიშვნები „n-ginE FUEL 4 ACTION!“ და გამოსახულება - ყვითელი ფერის რკალი, ვერ ანიჭებს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას. მსგავსია, ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი. ორივე ნიშანი განცხადებულია 30-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის

ჩამონათვალი მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს: „საღეჭი რეზინი“.

აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 30-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „პროგუმ გიდა სან. ვე თიჯ. ლტდ.სტი.“ (PROGUM GIDA SAN. Ve TİC. LTD.STİ) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის აზრით, ნიშნების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმია მომხმარებლის მიერ მათი მთლიანობაში აღქმა, როგორც მსგავსი გამოსახულებებისა. აღნიშნული არ იქნა გაზიარებული ექსპერტის მიერ, რომელმაც მსგავსების დადგენის კრიტერიუმად განიხილა დაპირისპირებულ ნიშნებში არსებული მხოლოდ ერთი საერთო სიტყვიერი ელემენტი - „TURBO“ და აღნიშნულის საფუძველზე, მიიჩნია განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები მსგავსად. აპელანტის პოზიციით, გადაწყვეტილების გამოტანისას არ ჩატარდა სრული ექსპერტიზა და გადაწყვეტილების გამოტანისას არ იქნა გათვალისწინებული ყველა სხვა ფაქტორი.

აპელანტის მტკიცებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ ნიშნებს, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა ფერებში, კერძოდ, განცხადებული ნიშანი შავ-თეთრია, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია თეთრ, ყვითელ, რუხ და შავ ფერში. განცხადებული ნიშანი

წარმოადგენს ორ კუბოკრულ ალამს შორის მცირე ზომის ლათინური ასოებით შესრულებულ ფრაზას „NO STICKING“, რომლის თავზეც ბევრად უფრო დიდი ზომის ლათინური ანბანით შესრულებულია აღნიშვნა „*TURBO*“, რომლის ზემოთ მოთავსებულია, ასევე, მცირე ზომის ლათინური ასოებით შესრულებული ფრაზა „SOFT BUBBLE GUM“. მიუხედევად იმისა, რომ ორივე ფრაზა

წარმოადგენს ნიშნის დაუცველ ნაწილს, მათი არსებობა და განლაგება გარკვეულ ინდივიდუალურობას ანიჭებს ნიშნის ვიზუალურ მხარეს. დაპირისპირებული ნიშანი

წარმოადგენს შავ მართკუთხედში რამდენიმე მრუდით შედგენილ, ორიგინალურ ფიგურაში მოთავსებულ, სტილიზებული კონტურიანი ლათინური ასოებით შესრულებულ აღნიშვნას „n-ginE“, რომლის პირველი ასო „n“ გამოყოფილია დეფისით, ხოლო ბოლო ასო „E“ უფრო დიდი ზომისაა და ამავდროულად, გამოსახულებითი ელემენტია, ვინაიდან, წარმოადგენს ვერტიკალური ფრაგმენტით შეერთებული სამი სხვადასხვა ზომის მილის გამოსახულებას, რომელიც ტოვებს გამონაბოლქვის მილების შთაბეჭდილებას და რომლის ქვემოთ მცირე ზომის ლათინური ასოებით შესრულებულია სლოგანი „FUEL 4 ACTION!“. სლოგანის ქვემოთ მოთავსებულია სტილიზებული ლათინური ანბანით შესრულებული აღნიშვნა „TURBO“. ნიშნის შესრულების ტექნიკა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი წარმოადგენს ორ სხვადასხვა სიბრტყეზე განლაგებული ორი ფრაგმენტით შედგენილ მოცულობით გამოსახულებას, რომელთაგან ერთი - ყვითელი მრუდების, აღნიშვნის „n-ginE“ და სლოგანის „FUEL 4 ACTION!“ შემცველი ფრაგმენტი განლაგებულია ზედა სიბრტყეზე, ხოლო მეორე - აღნიშვნის „TURBO“ შემცველი ფრაგმენტი ქვედა სიბრტყეზე. აქედან გამომდინარე, დაპირისპირებული ნიშნის ძირითად ფრაგმენტს წარმოადგენს უფრო დიდი ლათინური ასოებით შესრულებული აღნიშვნა „n-ginE“, ორიგინალურად გაფორმებული ბოლო ასოთი „E“, რომელიც, ამავდროულად, წარმოადგენს გამოსახულებით ელემენტს. შესაბამისად, ყვითელ რკალებში მოთავსებული აღნიშვნა „n-ginE“ წარმოადგენს ნიშნის ძირითად ელემენტს განსხვავებით განცხადებული ნიშნისაგან, რომელიც წარმოადგენს ნიშნის ცენტრში მოთავსებულ აღნიშვნას „TURBO“. განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნის გამოსახულებითი ელემენტების სრული განსხვავება დასტურდება საერთაშორისო კოდირების სისტემით მათი განსხვავებული კოდირებით, კერძოდ, განცხადებული ნიშნის კოდირებაა - 24.07.03; 27.05.10, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის - 15.01.17;

18.01.21; 26.11.12; 27.03.15; 29.01.14. დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებული მკვეთრი ვიზუალური განსხვავება როგორც ფერებში, ასევე ნიშნების ძირითად ელემენტებს შორის, განაპირობებს მომხმარებლის მიერ, ნიშნების სრულიად განსხვავებულ აღქმას, რაც გამორიცხავს მომხმარებლის მიერ ნიშნების აღრევასა და მის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებელი კომპანიის მიმართ.

ნიშნები მკვეთრად განსხვავდებიან ფონეტიკურადაც, კერძოდ, განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის როგორც „ნოუ სტიკინგ, ტურბო, სოფტ ბაბლ გამ“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „ენჯინ, ფუელ ფორ ექშენ!, ტურბო“. შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნის ჟღერადობა ვერ იქნება აღრევამდე მსგავსი, რაც გამორიცხავს მომხმარებლის მიერ ნიშნების აღრევასა და მის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებელი კომპანიის მიმართ.

აპელანტის აზრით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიშნებს შორის არსებული სემანტიკური განსხვავება, რაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან, საღეჭი რეზინის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობა, რომელიც საკმაოდ კარგად ფლობს ინგლისურ ენას და არ გაუჭირდება ნიშნების სემანტიკური მნიშვნელობის გაგება. განცხადებული ნიშანი ქართულად ითარგმნება, როგორც „არა წებვადი, ტურბო, რბილი საღეჭი რეზინი“, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანს მომხმარებელი ქართულად აღიქვამს, როგორც „ძრავა, საწვავი მოქმედებისათვის! ტურბო“. შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების სემანტიკური მნიშვნელობაც ცალსახად განსხვავებულია, რაც გამორიცხავს მომხმარებლის მიერ ნიშნების აღრევის შესაძლებლობასა და მის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებელი კომპანიის მიმართ. საქპატენტის ექსპერტიზის პრაქტიკაში არსებობს ანალოგიური შემთხვევები, როდესაც საერთო აღნიშვნის შემცველი ნიშნები რეგისტრირებულია მსგავსი საქონლის ჩამონათვალისათვის. ამის დასტურია

სასაქონლო ნიშნების GARDEN KVARELI LAKE RESORT'S (GARDEN, KVARELI LAKE RESORTS), (რეგ. N**22818**,

რეგ. თარიღი 30.07.2012) და „Roof Garden რუფ გარდენ“ (რეგ. N26301, რეგ. თარიღი 24.09.2015) რეგისტრაცია 43-ე კლასის მომსახურებისათვის. ასევე, შპს „კანტის“ სახელზე რეგისტრირებული ნიშანი (რეგ. N22122) 29-ე და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალისათვის, იმავდროულად, იმავე კლასების მსგავსი საქონლის ჩამონათვალისათვის შპს „თი & ეი“-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი (რეგ. N 22540) და ფიზიკური პირის, ნოდარ გიგინეიშვილის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი ჯორჯიან ბესთ GEORGIAN BEST (რეგ. N 17983). აღნიშნული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის დროსა, სავარაუდოდ, მხედველობაში იქნა მიღებული ნიშნების განსხვავებული გამოსახულებითი ელემენტები და არადაცვისუნარიანი სიტყვიერი ნაწილი. ამას გარდა, აპელანტი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია დიდი ხნის განმავლობაში საქმიანობს საქართველოში და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი კარგად არის ცნობილი ქართველი მომხმარებლისათვის, რასაც ხელს უწყობს კომპანიის მიერ სასაქონლო ნიშნის NO STICKING TURBO SOFT BUBBLE GUM აქტიური ტელერეკლამა დაწესებული პრიზების გათამაშებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 12 აპრილის N792/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „TURBO NO STICKING SOFT BUBBLE GUM“ (საიდ. N86529/03) რეგისტრაციას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ N51-03/16 სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი

და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც გარდა სიტყვიერი ნაწილისა „TURBO NO STICKING SOFT BUBBLE GUM“ შეიცავს, შავ და თეთრ ფერში შესრულებულ ორი ალმის გამოსახულებას. ამასთან, განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი ელემენტი „NO STICKING SOFT BUBBLE GUM“ 30-ე კლასის განცხადებული საქონლისათვის - „საღეჭი რეზინი“ არ წარმოადგენს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის ობიექტს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, ასევე, წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერ ნაწილთან - „n-ginE FUEL 4 ACTION TURBO” ერთად შეიცავს შავ და ყვითელ ფერში შესრულებულ ორი რკალის გამოსახულებას, რომელიც მოთავსებულია წარწერის - „n-ginE“ ზედა მხარეს. ნიშნების შედარებისას, უნდა მოხდეს მხოლოდ დაპირისპირებული ნიშნების დაცვისუნარიანი ელემენტების - „TURBO“ „n-ginE FUEL 4 ACTION TURBO” შედარება. განცხადებულ ნიშანში, დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილი „TURBO“, რომელსაც სრულად მოიცავს

დაპირისპირებული ნიშანი. ამასთან, ორივე ნიშანში სიტყვიერი ელემენტი „TURBO“ ლათინური ასომთავრული ასოებითაა შესრულებული, რაც ზრდის ნიშნებს შორის მსგავსებას. ხოლო, დაპირისპირებულ ნიშნებში არსებული გამოსახულებითი ელემენტები ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას.

ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ტურბო“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც „ენ-ჯინ ფუელ ტურბო“.

ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, ვინაიდან ორივე ნიშნის დომინანტი ელემენტი „TURBO“, რომელიც ფანტაზიურ აღნიშვნად ითვლება 30-ე კლასის საქონლისათვის, ინგლისური ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც - „ტურბო“. აღნიშნული კიდევ უფრო ზრდის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული ნიშნების 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი, ვინაიდან ორივე ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს „საღეჭ რეზინას“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „TURBO NO STICKING SOFT BUBBLE GUM“ (საიდ. N86529/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალურის საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „პროგუმ გიდა სან. ვე თიჯ. ლტდ.სტი.“ (PROGUM GIDA SAN. Ve TİC. LTD.STİ) N51-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 12 აპრილის N792/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ს. მუჯირი
წევრები:	თ. ჯაფარიძე
	უ. ოშხნელი